რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუ-თაისში ჭილაძის (გერასიმის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა



ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ნეკროლოგი [illegible] ასოზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.



არწრუნის თეატრი.

ოთხშაბათს, 22 დეკემბერს

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

**ვ. ა. აბაშიძისა**

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება აბონემენტის რიცხვში

**რევიზორი**

კომედია 5 მოქმ. გოგოლისა, რუსუ-ლით თარგმნილი ა. ბ. ჭიჭინაძისაგან.

ხლესტაკოვის როლს ასრულებს მობენეფისე—ვ. აბაშიძე, გოროდნი-ჩისას—კ. ყიფიანი, ოსიპისას—კ. მესხი.

დასაწყისი 8 საათზედ.


## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

18-ს დეკემბერს.

**ტაშკენტი.** შესდგა კამისია, რომე-ლიც აარსებს რუსულ სკოლებს აქაურ მაჰმადიან მცხოვრებთათვის.

**ბერლინი.** ბისმარკის ორგანო „ჩრდილ. გერმან. გაზ.“ ამტყუნებს ხმებს ბისმარკსა და კალნოკის შუა მიწერ-მოწერის შესახებ ავსტრია და გერმანიის შორის კავშირზედ.

მდინარენი რეინი და ნეკკარი თან და თან დიდდებიან. რკინის გზა ვე-ღარ მოქმედებს მანჰეიმსა და ვორონ-სკის შუა.

**პარიჟი.** 51 კაცს დაედვათ ბრალი ინტერნაციონალურ მუშების საზოგა-დოებაში მონაწილეობის მიღებისა და პოლიცია განიხილავს ამათ საქმეს ლაონში. კრაპოტკინმა განაცხადა, მე მირჩევნია, რომ ნაფიც მსაჯულთ გაერჩიათ ჩემი საქმეო.

**პეტერბურღი.** გაზ. „რუსის ინვა-ლიდის“ სიტყვით, შესდგა ცალკე კა-მისია კაზარმების გაშენების თაობა-ზედ.

გაზ. „ახალი დროება“ იწერება. რომ ასი წლის იუბილეით შავი ზღვის ფლოტისა მომავალ წელში იქნება დასაწყისი ამ ფლოტის წარმატებისა, იმ გემების გარდა, რომელიც აწ შენ-დება და უნდა კიდევ გააკეთონ შავი ზღვისათვის, ამ ზღვის ფლოტს მიე-მატება კიდევ რამოდენიმე გემი ბალ-ტიის ზღვიდამ.

პეტერბურღის ნემეცური გაზეთის სიტყვით, მომავალ დიდ მარხვაში პეტერბურღში იქნება ელექტრონული გამოფენა.

**ადესა.** კრეისერი „როსსია“ სევას-ტოპოლიდამ 2,000 ახლად-მოგრო-ვილის ჯარით წამოვიდა ფოთისაკენ.

თერთმეტი თვის განმავლობაში 1882 წლისა 50 მილიონის საქონელი შემოსულა სამზღვარ გარეთიდამ, აქე-დამ ბაჟის ფული 5½ მილ. მ. შესდგა.

**ხარკოვი.** საგუბერნიო ერობა ითხოვს ახალი წესის შემოღებას მცოდნე პირთ არჩევის შესახებ.

**კიევი.** 105 სტუდენტ-ექიმთაგან, რომელნიც იჭერდნენ დაბოლოებით ეგზამენს, მხოლოდ 45 დაიჭირა ეგზამენი.

**ვენა.** გაზ. „*Neue Frei presse*“-ს აცნობებენ სტამბოლიდამ, რომ ფუად-ფაშა ისევ დაატუსაღეს რამდენიმე წარჩინებულ სასახლის აფიცრებით. ფუადის წარმოთქმულის წინდაუხედავ სიტყვებით იხელმძღვანელეს მისთ მტერთ და ჩააგონეს ხონთქარს, რომ სამხედრო შეთქმულობა არსებობსო. ფუად-ფაშის წინაამდეგ თუმცა ისე-თი აშკარა საბუთები არა არის-რაო, მაგრამ მას მაინც გასდევნიან სტამბო-ლიდამ, რომ დაამშვიდონ ხონთქარი. საზოგადოებაშიც არა სჯერათ ფუა-დის დანაშაულობა და უკმაყოფილებას აცხადებენ, რომ ხონთქარი ესეთ დროს, როცა ხალხი მოელის ახალი დაპირე-ბული რეფორმების სისრულეში მოყ-ვანას, ამისთანა ბეზღებას უჯერის.

**სტამბოლი.** სახელმწიფოს გასავა-ლი დიდად აღემატება შემოსავალს და ამ გარემოებამ გამოიწვია ხარჯების შემცირება ჯარებზე, ადმინისტრაცია-ზე და ხონთქრის სახლობაზე.

**პარიჟი.** გამბეტას ავად-მყოფობა უფრო უმძლდება.

ავსტრო-ვენგრიის დესპანმა საფრან-გეთის რესპუბლიკისა, გრაფ ვიმპფენ-მა თავი მოიკლა; ამას აწერენ ჭკუა-ზედ შემცდარობას განუკურნებელს ავად-მყოფობის გამო.

## დღიური

გაზ. „მოსკოვის უწყებებში“ იწე-რებიან, რომ ხელმწიფე იმპერატორ-მა არ ინახულა დეპუტაცია, რომე-ლიც მოსკოვის ვაჭრებმა ამოარჩიეს და გაგზავნეს იმპერატორთან კავკასიის ტრანზიტის მოსპობის სათხოვნელად.

* * *

„გოლოსში“ შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი კავკასიის მადნის წყალების თაობაზედ:

„1875 წლიდამ კავკასიის მადნის წყალების გამგებლად დანიშნულია თერგის მაზრის უფროსი ლენ-ადიუ-ტანტი სვისტუნოვი, რომელსაც მინ-დობილი ჰქონდა შეედგინა პროექტი ამ წყალების საუკეთესო გამგეობისა. უცხო ქვეყნის მადნის წყალების გა-საცნობად ლენ. სვისტუნოვი ორჯერ იყო სახელმწიფო ხარჯით გაგზავნი-ლი საფრანგეთში და გერმანიაში; ჩვე-ნი წყალების გამოსაკვლეველად და იმის უკეთეს წესზედ დასაყენებლად კი მოწვეული იყვნენ ორი მკოდნე პირნი—ფრანცუზები შ. ფრანსუა და ლეონ დრიუ, რომელმაც პირობა მისცა ჩვენს მთავრობას, რომ მომავალ 1883 წლის 20 მარტამდინ წარმოა-დგენს თავის პროექტს ხსენებულ წყალების საუკეთესო გამართვის თაო-ბაზედ.

„ამ ნაირად, თუმცა ხაზინამ დიდ ძალი ფული დახარჯა კავკასიის მად-ნის წყალების გაუმჯობესობისათვის, მაგრამ ახლაც იძულებულია, ერთის

«დროების» ფელტონი, 21 დეკემბ.

## საკვირველი ზიზლი

ღამის ათი საათი იყო, დაჰფიქრე-ბული ვიჯექი ჩემს ოთახში.

ბევრი, ბევრი რამ გულს მილო-ნებდა, სევდას მიშლიდა. უწესო ბუ-დეში, მართალია, უწესოება უნდა სუფევდეს; მაგრამ წესიერ წრეშიაც ღვთის სისხვაა. მართალი, მოწყალე, მშვიდი იჩაგრება და იდევნება, მრუ-დე, ქურდი, მაშფოთარი კი ბატო-ნობს და არხეინად დამღერის „ჰარი-არალოს“. როგორ არ დაჰფიქრდე! როგორ არ შეწუხდე ამის მოწამე, ამის მნახველი!

ეს ფიქრები მიტრიალებდა თავში, როდესაც უეცრად საშინელი ხმაურო-ბა მომესმა ქუჩიდგან.

გაველი საჩქაროდ.

ქუჩაში ხალხის მოძრაობა იყო. ზოგნი სანთლებით დადიოდნენ, ზო-გნი ფარნებით დარბოდნენ. ბავშების და ქალების კივილი და ქვითინი გა-ისმოდა.

— საწყალი, უთუოდ წყალში და-იღრჩოო! ერთმანეთს ეუბნებოდნენ.

ეა „საწყალი“ გახლდათ ჩემი კარ-გი ნაცნობი მათიკო, ქალი ლამაზი და სულ ერთი თვის ჯვარ-დაწერი-ლი. მათიკო უეცრად გაჰქრა; ოჯახი დასტოვა. დაეძიებდნენ ქალს მოყვა-რეც და მტერიც. ბევრი სძებნეს, მო-ედვნენ ღობე-ყორეს, მაგრამ ვერ მი-აგნეს იმის კვალს.

ბოლოს საუკუნო ხსენება უძღვნეს დაჰკარგულს და დაბრუნდნენ დაღო-ნებულნი სახლებში.

უველას მალე დაავიწყდა მათიკო. ქმარიც დამშვიდდა. დრომ განჰკურნა შეწუხებულნი ნათესავნი და ახლო-ბელნი მათიკოსი.

რამოდენიმე წლის შემდეგ მათი-კოს დაჰკარგვისა მე მომიხდა ყოფნა ერთს დიდ ქალაქში. ერთხელ ამ ქა-ლაქის ქუჩებში დავეხეტებოდით მე და ჩემი ამხანაგები და ვათვალიერებ-დით მდიდრულად მორთულ მაღაზი-ებს, უზარ-მაზარ შენობეებს და ეკ-კლესიებს. კარგა ხნის ხეტიალის შემ-დეგ, დავიღალეთ და ქალაქის ბაშიღ

შევედით. ერთი ვნახოთ, ვიღაც მშვენივრად მორთულმა ქალმა ჩამო-გვიქროლა. პირველად ყურადღება არ მივაქციეთ. ქალმა გაახშირა ჩვენ გა-რეშემო ტრიალი. ვსთქვი: აქ რაღაც ამბავია-მეთქი. ავდექი და თავაზიანი სიტყვით შევაჩერე ქალი. ქალმა მო-მხედა და ღიმილით მსთხრა:

— სანდროს გაუმარჯოს!.. ვერ მი-ცანი განა?!

— მათიკო, შენა? განცვიფრებუ-ლი შევძახე.

— დიაღ! დაჰკარგული მათიკო... ხვალ დილას უსათუოდ მოგელი. უვე-ლაფერს შეიტყობ.

ამ სიტყვებით თავისი ადრესი მო-მაჩეჩა ხელში და საჩქაროდ მომშორ-და.

დავრჩი პირ-დაღებული. გაშტერე-ბული გავეშურე სახლისაკენ.

მეორე დღეს მოუთმენლად მო-ველოდი. ძილი გამიტყდა. სხვა-და-სხვა შავი ფიქრები მომდიოდა მათი-კოს ცხოვრებაზე.—ვაი თუ ასეა, ვაი თუ ისეა! ვეუბნებოდი ჩემს თავს.

ვზივარ მშვენიერად ევროპიულ მორთულ ოთახში. გვერდით მიზის გაფუნთრუშებული მათიკო.

ლამაზი ქალი იყო მათიკო; ეხლა-კი ერთი-ორად გამშვენიერებულა. წყნარად და მშვიდად იცქირება. რა-ღაც სიამოვნებას გრძნობ მის ახლოს. ძალი [illegible]ტი არსებაა; მაგრამ სისუსტე ისე არაოდეს არ მიგრძვნია, როგორც ამ საშინელ დილას. ოთხი წლის უნახავი მათიკო ჩემს გამოხატულებას წარმოუდგა ზეციერ ქმნილებად...

— მეგობარო, დაიწყო მათიკომ, ჩემი თავ-გადასავალი მიკლე: როცა ინსტიტუტი შევასრულე და მშობ-ლების ოჯახში მოველი, პირველი ახალგაზდა საცოლო ვაჟი, რომელიც მე შემხვდა იყო საბრალო ჩემი ქმარი. შეხვედრა და სიყვარულის ალის ან-თება ერთი იყო. მართლა, რომ ძნე-ლი რამ ყოფილა პირველი სიყვარუ-ლი. დღე და ღამ მოსვენება არ მქონ-და, სანთელსავით ვდნებოდი. მშო-ბლებმა შემატყვეს. მე არ დამიფარავს მათთვის ჩემი გრძნობა. შევებრალე იმათ, დრო აღარ დააჰყოვნეს და გა-

წლის ვადით მაინც, კიდევ ბ. ბაიკოვს მიანდოს ამ წყალების გამგეობა, თუმცა მთელი ქვეყანა უჩივის ამ არენდატორს.“

* * *

ოფიციალურად გამოცხადებულის ანგარიშიდამ სჩანს, რომ ამ უკანასკნელ ექვსის წლის განმავალობაში, 1876-დამ წლევანდლამდის, რუსეთის ხაზინას სამხედრო საჭიროებისათვის (სამხედრო სამინისტროის ჩვეულებრივ ხარჯს გარდა) დაუხარჯავს სულ 1,105,377,340 მან.; მომეტებული ნაწილი ამ ფულისა, თითქმის ცხრაას მილიონ მანეთამდის, 1877 და 1878 წლებში დაიხარჯა ოსმალოსთან ომის დროს. აქვე ჩათვლილია სხვათა შორის 1,200,000 მან., რომელიც ხაზინას კავკასიაში დაუხარჯავს შარშან ოსმალეთის სამზღვრებზე სიმაგრეების ასაგებად და ერთი მილიონი მან., რომელიც შარშანვე დახარჯულა კასპიის იქითა-მხარეში სხვა-და-სხვა დრო საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

* * *

ოთხშაბათს, 22 დეკემბერს, არწრუნის თეატრში დანიშნულია ბ. ვ. ა. აბაშიძის ბენეფისი. ამ ნიჭიერ არტისტს არა-ერთხელ დაუტკბია თავის მოხდენილის თამაშით ჩვენი საზოგადოება, რომელიც იმედია, ხვალაც ამ გვარადვე დასტკბება, რადგანაც ხვალინდელი როლი ბ. აბაშიძისა, ერთი საუკეთესო როლთაგანია მისი—ეს არის ხლესტაკოვის როლი „რევიზორში“, რომელიც ადრე ისე უნაკლულოდ ასრულა მან, რომ ზოგიერთებმა აქ ქარაკტერულს რუსულს კამედიაში თვით რუსის მოთამაშებშიაც ვერ უპოვეს ბადალი.

* * *

ამ წინაზედ კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ გამოსცა ტფილისში ბროშურა სახელად „ფილოქსერა რუსეთში“ აგრონომის ზეიდუკისაგან შედგენილი. ბ. ზეიდუკის აზრით, თუმცა ჯერ-ჯერობით ფილოქსერა მხოლოდ ორ ალაგას აღმოჩნდა—ყირიმში და სოხუმის გარემოს და ყოვლის ღონით ცდილობენ მის მოსპობას, მაგრამ ეს ადვილად ვერ დასძლევენ ამ ვაზის ძლიერს მტერს და ადვილად გადავა ის სხვა ალაგებშიაცაო. ბ. ზეიდუკი საჭიროდ ხედავს ფილოქსერის მოსასპობად შემდეგი ზომების მიღებას: უმაღლესს საagრონომიო სასწავლებლებში ფილოქსერის კათედრის დაარსებას, ამ საგნის სპეციალურად მცოდნე პირთა შესაძენად, სხვა-და-სხვა კამისიებს, ექსპერტებს, ვაზების დაზღვევას და სხვ.

## ქართულ ტერმინების გამო

დღეს მიღებულ „დროების“ № 254-ში წავიკითხე ბ. ჭელიძის სტატია ქართულ რიცხვების წერაზე. ავტორი გვირჩევს, ოცი ციფირით ვწეროთ; ამ სისტემით წერა იმდენად სჯობია ჩვენთვის ათეულს სისტემით წერასო, რომ ამაზე ლაპარაკიც აღარ მსურს, როგორც აქსიომაზეო.

მართალია, ქართულ თვლას აქვს თავისი ფიზიონომია და განირჩევა სხვა ხალხის თვლისაგან ისე, როგორც მაგ. ფრანცუზული თვლა რუსულისაგან. შეადარეთ:

ქართულად: ოცი, ოც-და-ათი, ორმოცი, ოთხმოც-და-ცამეტი.

ფრანცუზულად: ოცი (*vingt*), სამი ათი, ოთხი ათი, ოთხმოც-და-ცამეტი.

რუსულად: ორი ათი, სამი ათი ოთხი ათი, ...ცხრა ათი და სამი.

ფრანცუზი ზოგჯერ, როგორც ჩვენ, ამბობს: ოცი (*vingt*), სამოც-და-ათი (*soixante-dix*), სამოც-და-თუთხმეტი (*soixante-quinze*), ოთხმოცი (*quatre-vingts*) და სხვა; ზოგჯერ, როგორც რუსი, ამბობს: სამი ათი და ერთი, ხუთი ათი და რვა. თუ რავდენობას მივიღებთ სახეში, ფრანცუზული თვლა ქართულთან უფრო ახლოა, მინამ რუსულთან, რადგან ათობით ითვლიან ოციდამ სამოცამდის და დანარჩენს ოცობით; ასე რომ ასში ორმოცი ითვლება ათობით და სამოცი ოცობით.

და, რომ ფრანცუზს უთხრა, თქვენი თვლის თვისება ისეთია, რომ ათეული სისტემა მას არ ეთანხმებაო, ჭკუა შეშლილად ჩაგთვლის, ან იფიქრებს, სწორედ სიზმარში ვარო.

ათეული სისტემა ისეთი ადვილი და სადი არის, რომ ფრანცუზის გამჭრიახე ჭკუამ თვით ზომებიც ათეული სისტემისა გამოიგონა, და მეტრიული სისტემა იმდენად სჯობია სხვა სისტემას, რომ მთელის დედა-მიწის სწავლულები მარტო ამ სისტემას ხმარობენ.

ვერ გამიგია, რათია ასე ძნელი გასაგები და შესათვისებელი მთელს ქვეყანაზე მიღებული სისტემა, რომ გადავასხვაფეროთ და ახალი ციფირები გამოვიგონოთ. ნუ თუ ბავშვების მასწავლებლები ისე სუსტები იქნებიან, რომ ვერ გარდასცემენ ყმაწვილებს, ოცი შესდგება ორი ათისაგანო და ამიტომ გამოიხატება ასე: 20.

ათეული სისტემით წერა ვნებას კი არა სარგებლობას მოუტანს ჩვენებურ მოსწავლეს, რადგან თვით ნიშანი აჩვენებს, რომ ოცი შესდგება ორი ათისაგან და სამოცი ექვსი ათისაგან. თუ ყმაწვილი ცოტათი გამჭრიახეა, ორი-სამი ნიშნის ახსნის შემდეგ, თითონ მიხვდება, რომ 50 ორმოც-და-ათია და 60 სამოცი.

იმ სისტემაზე, რომლის შემოღებაც მას სურს, ბატ. ჭელიძე ამბობს: „რიცხვებს შორის სუფევს სრული უწესოებაო“(!). მაშ ეს სისტემა ერთობ ძნელი ყოფილა (რადგან სხვა-და-სხვა ხარისხის რიცხვები—სხვა-და-სხვა კანონით შესდგებიან) და ოცი ციფირი, გაუადვილებს კი არა, ერთიორად გაუძნელებს ყმაწვილებს რიცხვების გამოხატვას, [illegible] რიცხვთა წერის კანონისა მან უნდა დაიხსოვნოს ოცი ნიშანი და არა ათი.

თითონ ავტორს, ვფიქრობ, ჯერ არ შეუდგენია გარკვეული წარმოდგენა ამ სისტემაზე. ამ სისტემაში ბოლოდამ მეორე ადგილი უკავიათ ოცეულებს და ამიტომ მეორე ადგილზე დაიწერებიან ყველა ოცეულები ოციდამ ოთხასამდე; ამ ნაირად, თუ Ⴚ ნიშნავს ცამეტს, ათას ორას სამოც-და-ჩვიდმეტი დაიწერება ასე 10ႺႧ და არა 123Ⴇ, როგორც ჭელიძე სწერს; ამ სისტემით ასი უნდა დაიწეროს ასე 50 (50=5. 20+0), და რადგან ჭელიძე ამბობს, ოც-და-ათი ათასი არისო 1X000 (1X=1. 20+X), ასი ათასი უნდა დაიწეროს ასე: 50,000 და არა 100,000, როგორც ჭელიძე სწერს.

ავტორი ყოჩაღად იკითხება: შეიძლება თუ არა ოცი ციფირის საშუალებით გამოიხატოს ყოველ გვარი რიცხვიო, და მედგრად თითონვე გვაძლევს პასუხს: „ჩვენ გადაჭრილი პასუხი გვაქვს—შეიძლებაო“. ვაქო, ამას რამდენი ბაქი უნდა; ოცი ციფირით კი არა ორი ციფირითაც შეიძლება ყოველი რიცხვის გამოხატვა; მაგ. ორეული სისტემით ასი დაიწერება ასე: 1100100. აიღეთ თუნდ ელემენტალური არითმეტიკა მალინინისა და ბურენინისა.

ამას გარდა ყველა კარგად წარმოიდგენს იმ დაბრკოლებას, რომელიც შეხვდება ქართულად ნასწავლ ახალგაზდას სხვა ენაზე დაწერილ წიგნის კითხვის დროს, თუ იქნება შეჩვეული ოცი ციფირით რიცხვის გამოხატვას.

გ. ბარძიმიშვილი.

სტავროპოლი, 12 დეკემბერს.

---

დამწერეს ჯვარი საყვარელზედ... ჩვენ დავიწყეთ ცხოვრება, როგორც შეჰფერის შეყვარებულ ცოლ-ქმარს. ქმარიც სამაგალითო გამომადგა. იშვიათი თვისების და ხასიათის კაცი იყო. ხომ გახსოვს მისი მშვენიერი შეხედულობა, მშვიდობიანი ხასიათი, დამჯდარი ჭკუა და გონება. ამასთანვე საშინლად ვუყვარდი და არ ზოგავდა ცოლის სიამოვნებისათვის არც თავის თავს, არც თავის შეძლებას. საშუალობაც საკმაოდ გვქონდა. ასე რომ ჩემი მდგომარეობა სანატრელი იყო, მაგრამ...

აქ მათიკომ ამოიოხრა და შეჩერდა.

— მაგრამ, რა?

— ერთი თვის შემდეგ ისე შემძულდა ქმარი, რომ თითო მისი დანახვა ჩემთვის ჯოჯოხეთი იყო.

— მიზეზი რამ იქნებოდა უსათუოდ?

— გეფიცები ღმერთს, მე თვით არ ვიცი მიზეზი ამ სიძულვილისა. საწოლში რომ შემოვიდოდა, მე გულ შეწუხებული გამოვყავდით საწოლიდამ. ძნელი გამოსახატავია ის ზიზღი, რომელიც მე მომდიოდა ქმრის დანახვით.

— გასაკვირველია! ეგება ქმარი აღარ მოგწონდა!!

— არა! საქმეც ეგ არის, რომ მოწონებით კიდევ მომწონდა, მაგრამ სიყვარული უმიზეზოდ მძულვარებად გადიქცა.

დამაფიქრა მათიკოს ამბავმა. ვერა მიზეზი ვერ მომენახა, რისათვის შეძულდა იმას ქმარი.

— რომ ეღარ ავიტანე ამ გვარი მდგომარეობა, განაგრძო მათიკომ, მე დავაპირე ქმრის დატოვება. ერთმა მადლიანმა ნათესავმა ხელი მომიმართა და ფარულად ამ ქალაქში მომიყვანა. სწავლა ეხლა გამომადგა. ერთმა პატიოსანმა ოჯახმა მომიწვია შვილების მასწავლებლად და ფარულად ვცხოვრობდი ამ ოჯახში ჩემი ქმრის გარდაცვალებამდისინ. ქმრის სიკვდილის შემდეგ აღარ ვფარავ ჩემს ვინაობას. დიდი ხანი არ არის, რაც ერთ ნასწავლ ქალთან ერთად გავმართე პატარა სკოლა. მშვენიერად ვცხოვრობ და ბედნიერიცა ვარ. ყმაწვილებს ძრიელ უყვარვარ, იმათთვის არ ვზოგავ ბეჯითობას და შრომას. ყველანი ჩემი კმაყოფილნი არიან. აი, ჩემო სანდრო ჩემი თავ-გადასავალი... როგორ მოგწონს? ბედნიერი ვარ თუ არა?

მე შევჩერდი. თავში ათასმა სხვა-და-სხვა ფიქრებმა გამიელვა.

— რას დაფიქრებულხარ?

— იცი, მათიკო, რა გითხრა!

— რა! რა ამბავია!

— მე მზად ვარ შენი განსვენებული ქმრის ადგილი დავიჭირო... ხვალვე ჯვარი დავიწეროთ, თუ შენი ნებაც იქნება...

მათიკო საშინლად შეჰკრთა ამ სიტყვებზედ მომაკვდავის ფერი დაედო. მთელი სხეულის კანკალი აუტყდა. შენს მტერს, მე რომ შევშინდი. წყალი მივაწოდე. სტაქანს ხელი ჰკრა და აღშფოთებულის ხმით შემომძახა:

— დამეკარგე აქედამ! თვალით აღარ დამენახო! თქვენ სატანას შექნილნო. მეზიზღებით ყველა თქვენ ველის წიწილნო! გამეცალე! გამეცალე!

— მათიკო! გონზე მოდი, რა დაგმართა, რა დაგიშავე?

— გამეცალე-მეთქი! გამეცალე! საზარელის ხმით გაჰკიოდა ქალი.

გარეტებული და განცვიფრებული გამოვვარდი ქუჩაში...

სად მივეხეტებოდი, მეც აღარ მესმოდა... ფერ-მიხდილი, გაანჩხლებული მათიკო თვალ წინ მიდგა. ჩემს ყურებში იმის უკანასკნელ სიტყვებს რახა-რუხი გაჰქონდა.

X

მათიკო დღესაც ცოცხალია. მე-კი აღარ მინახავს; მაგრამ, როგორც გავიგე, ბედნიერად და კმაყოფილად სცხოვრობს.

ჩემი სვე თურმე სხვა ახალ-გაზდებსაც მოსვლია: ყველა მთხოვნელი კვილ-კვნით უფრენია.

ვერ გამოვიკვლიე, ვერ გამოვიცანი ამ ახირებული ქალის აგებულება. ვიფიქრე, ვიფიქრე, მაგრამ ვერა-რა მოვიფიქრე.

მიმინდვია ამის გამოცნობა პსიხიატრებისა და პსიხოლოგებისათვის.

ალ. ჯკოფაშვილი.

## წერილი რედაქტორთან

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ ჩემს ორიოდე სიტყვას ადგილი მისცეთ.

ჩემი ათონიდგან გამოგზავნილი სტატია („დროება“, № 226) წაუკითხავს ბერძნის არხიმანდრიტს მამა ა. გერასიმეს და ნაცვალი პასუხი მოჰყავს უსაფუძვლო და მით თავს იმართლებს („დროების“ № 236). მამა გერასიმე ბრძანებს, ვითომ მე ცილს ჰვსწამებდე ათონის ივერიის მონასტრის ბერძნის ბერებს და უყურებდე თითქოს ჩვენს მოძულეთა, ვითომ ისინი იყვნენ კეთილნი და მიმღები ქართველებისა მეთვრამეტე საუკუნოისა ბოლომდე, და შემდგომ ქართველებს დაეტევებიოს მონასტერი; მაგრამ თვით ბერძნის ბერები ქართველთ მონასტერს უვლიდნენ და იცავდნენ ქართველებისათვის კეთილად. ჭვალად ბრძანებს.

ათინის ივერიის მონასტრის ბერები არაოდეს არ უშლიდნენ და არ უშლიან ქართველთ ცხოვრებას იმ მონასტრში, როგორც თვით სცხოვრებენ წესიერად ტიბიკონისაებრ, და ქართველებმა ვერ შეითვისეს წესიერებაო. ქართული წიგნთ-საცავი კეთილად არის დაცულიო, როგორც ბერძნული, ლათინური, ფრანცუზული და სლავიანური წიგნებიცაო. მამა გერასიმეს სიტყვით, მე მხოლოდ ტყუილს ვამბობ და მით მსურს თითქო შთაუნერგო სიძულვილი ბერძნის ბერებისა განათლების მოყვარე ქართველთა. უკეთუ ჩავარდა ბიბლიოთეკა ბ. ვენედიქტეს ხელშიო, მაშინ მოსალოდნელია სულ დაიკარგოსო და სხვანი.

გარდა ამისა მამა გერასიმემ შეიტანა საჩივარი ამავე წელს მაისში ჩემზე სამძღვარ გარე საქმის მინისტრთან ქ. პეტერბურღში, რომლის კოპიო კონსტანტინეპოლის დესპანისაგან მივიღე, რომელიც უმართლოებით სავსეა. ის ბრძანებს:

„ივერიის მონასტერი იყო გაშენებული მეოთხე საუკუნეში დიდი კონსტანტინესაგან და მეცხრე საუკუნეში მუნ მოვიდნენ სამნი ქართველნი და იმ დროს მხოლოდ დაარქვეს მონასტერს სახელი—ივერიისა; ამ სახელოვან ქართველებს ესამვალათ ვიზანტიის იმპერატორთან და მის შემწეობით გაუშენებიათ მონასტერი და რამოდენიმეც ქართველთა მეფისაგანაც მიუღიათ შემწეობა.“

ლიტონის სიტყვით არწმუნებს, ვითომ არასოდეს არ ყოფილიყოს მონასტერი ქართველ უფლებაში. შემდეგ ამბობს:

„ივერიის მონასტრის გამგე-ბერძნები უარს არა ჰყოფენ, რომ დრო-და-დრო არ ცხოვრებდნენ აქ ქართველთ ბერები, მხოლოდ ემორჩილებოდენ საზოგადო წესს და დიდის უფლების მქონებელნი არ იყვნენო და შემდგომ ვიზანტიის მეფობის დაცემისა, სრულიად ქართველები აღმოიფხრაო და ხუთი საუკუნის განმავალობაში ივერიის მონასტერი იყო და არისო ბერძნის უფლებაში, ვიდრე აქამომდეო“.

მრავალ ისტორიულ ფაქტებით შემიძლია ყველა ამის დამტკიცებაო, მაგრამ არ მსურს შეგაწუხოთ. რა სარგებლობისათვის უნდა ცილს ვწამებდე მე მათ?

აი რაშია საქმე. საუბედუროდ, იმათი სიცრუე აქამდის სიმართლედ ჰსჩანდა; მაგრამ აწ ადგილი არა აქვს მათი სიცრუეს, ვინაიდგან ასპარეზში გამომიწვიეს.

ივერიის მონასტერი, თითქმის ყველა ქართველმა იცის, მეათე საუკუნოს ბოლოს დაარსდა ათონის მთაზედ ქართველთა ზედა მეფობასა დავით კურაპ-პალატისა და ბერძენთა ზედა ვასილი მეორისა, წინამძღვრობითა იოანე და ევთიმე ქართველისათა. კლიმენტოს ნავთ-საყუდელი, სადაცა არს ივერის მონასტერი, დიდი საფასით მიყიდულ არს ვასილი მეორისაგან ქართველებისათვის, ფასად მისცა ორი მონასტერი იოანე ქართველმან, ჩვენი მეფის თანხმობით, ერთი ქართველთ-მონასტერი იოანე ნათლის მცემლისა სტამბოლში, მეორე წმ. ფოკას მონას. ტრაპიზონში გარდა სხვა საფასისა და სიკეთისა, რომელიც დღესაც ჰსჩანს ათანასე ათონელის ნაწერში და დამტკიცებული ვასილი კეისრისაგან, რომელშიაც სწერს: არა ქონდეს უფლება პორტას, ე. ი. საბერძნეთის სასულიეროს, მხოლოდ ჰგიებდეს კეისრის მფარველობასა ქვეშე და შეერთება თავის სამშობლო მაღალ ეკკლესიასთან. ათონის მთაზე აშენებული ივერიის მონასტერი საკუთარი ქართველთათვის არის, როგორც აცხადეს მეთერთმეტე საუკუნოის დაწერილი მატიანე იმავე მონასტრისა. ბერძნები იყვნენ მონასტერში შეწყნარებულნი მხოლოდ მეჯორეთ და მენავეთ. შემდგომ ქართველებმა თავისი სიწრფოებით შეიწყნარეს ბერძნის საბერო მორჩილები ძმათა შორის. რა რომ გამრავლდა რიცხვი ბერძნის ბერებისა, ქართველებს მოუნდომეს მონასტრის წართმევა. ადგა ამაზე დიდი ჩივილი და ალიაქოთი, მიწერ-მოწერა ბაგრატ მეოთხისა და მიხაილ კეისრისა შორის. დიდის გამოძიების შემდეგ გააძეს წინაამღდეგი ბერძნის ბერები და დაუმტკიცეს ქართველებს დროსა წინამძღვრობისა მამისა გრიგოლ არხიმანდრიტისა და ჰსცხოვრებდენ მშვიდობით რამოდენიმე დროს. კვალადვე აღიძრნენ ბერძენნი, ძიიმხრეს ყოველი პალატი და დიდებულნი საბერძნეთისანი და ავაზაკურად დაეცნენ მონასტერს ქართველთა და მიუღეს საკრებულო დიდი ტაძარი და შეადგინეს პატრიარქის მაგიერად წერილი, რომელი იწოდების „ცინგელია“, ვითომ ქართველნი ვერ უვლიდნენ მონასტერს, იყვნენ ზარმაცნი და უხმარნი მონასტრისათვის. ამის მიზეზით პატრიარქისაგან უნდა მიეღოთ დამტკიცება და საკრებულო დიდი ტაძარი ბერძნებს ქონებოდა და წარუდგინეს პატრიარქს კონსტანტინეპოლში დასამტკიცებლად. მინემდის მოახერხიბდენ დამტკიცებას, მოასწრო ქართველთა. შემდეგ ატყდა ჩივილი და მიწერ-მოწერა ორთა მეფეთა შორის, და ბოლოს და დიდის გამოძიებით დაუმტკიცეს ქართველებს ოქროს ბეჭდითა წინამძღვრობით მამისა სვიმონის ქართველისა, და ამიერიდგან იყვნენ მშვიდობასა შინა, ვიდრე მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე. წერილი იგი დაშთა კონსტანტინეპოლში საპატრიარქო არხივში.

როდესაც ოსმალთა აიღეს კონსტანტინეპოლი, პატრიარქმა ყოველი საბუთი, რაიცა იპოებოდა არხივში, ვენეციაში დასაცველად გადაგზავნა. უკანასკნელს საუკუნეში ყოველი ის საბუთები დაიბეჭდა ვენეციაში, სხვათა შორის ქართველთ მოყვარე ბერძნებისაგან შედგენილი „ცინგელაც“, და იქიდამ ამ ჩვენი საჭიროებისათვის გადმოვაღებინე პირი ბერძნულისაგან სხვათა საბუთებთა შორის, სადაც ჯერ არს წარსადგენად.

ამ უკანასკნელს საუკუნეში, შინაურ უთანხმოებისა გამო, შეიცვალა პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოისა და შემცირდა მდინვა მონასტერსა ამას და ძმათა შორის იქმნენ შეწყნარებულნი ბერძენნი, ბოლღარნი და მალდაველნი. რა რომ რიცხვი ბერძენთა გადაეჭარბა ქართველთა, შეცვალეს წესიერი ზოგადი ცხოვრება დაფუძნებული აღმაშენებელისა მიერ და დაისაკუთრეს მონასტერი.

მონასტრის შემოსავალს იყოფენ ეპისტროპოსები ესე იგი უფროსები და დანარჩენს შეიტანენ ხაზინაში საზოგადო საჭიროებისათვის. თითოეული არხიმადრიტს გინა ეპისკოპოსებს აქვს ათი თხუთმეტი და ოცი ოთახები და მოსამსახურეც ჰყავთ თავიანთ ნათესავნი გინა სხვანი ათ-ათი, ოც-ოცი და იმათაც აქვს კერძო ჩინებული ოთახები. მათ შორის არის განყოფილება პარტიობად: ვისაც მეტი მომხრე ჰყავს, იმას უფრო გავლენა აქვს. მათს შინაგან ცხოვრებაზედ არას ვიტყვი.

აი ეპიტროპოსები ვითარ იყოფენ მონასტრის სიმდიდრეს: ივერიის მონასტერს აქვს ჩვენი მამებისაგან შეძენილი მრავალი „მეტოხები“, ესე იგი მამულები, მაგ. საქართველოს, რუსეთს, ბესარაბიას, ბულღარიის და საბერძნეთს. ამ მეტოხეაში იგზავნებიან არხიმანდრიტად წოდებულნი, გინა იღუმენნი, რამოდენიმე წლის ვადით. საიდამაც შამოდის მონასტერში ათი ათასი მანეთი წელიწადში, მონასტერს აძლევენ სამი ათასს, დანარჩენს თვითონ თავისთვის ინახვენ და სცხოვრობენ განლაღებულად.

1881 წელს, როდესაც განურისხდა საბერძნეთს სულთანი და დაარჩევს გრიგორიოს პატრიარქი, იმ დროს მაკედონის მხარეში იყო გაგზავნილი ასაოხრებლად გურული ლიფურთფაშა. შიშისაგამო, ივერიის მონასტრიდგან ბერძნის ბერებმან ვის რა შეეძლო, მონასტრის სიმდიდრე გაიტაცეს და განიბნენ; მხოლოდ დარჩნენ ღრმად მოხუცებულნი ბერძნის ბერები და ორი [illegible] ქართველნი მღვდელ-მონაზონი ილარიონ ყანჩაშვილი, მოძღვარი უკანასკნელი სოლომონ მეფისა და მღვდელ-მონაზონი ვენედიქტე ძმებითურთ. რადგანაც ფაშა ქართველი იყო, მის მიზეზით ივერიის მონასტერი დაიცვა აოხრებისაგან და მრავალნი განთავისუფლდნენ ბერძნის ბერები ამ ორი ქართველ მამების საშუალობით.

(დასასრული ხვალ)

## ბ. ს. ტანიხეველის სტატიის გამო

(„დროება“ № 264)

„ვისაც ბევრი აქვს მიწყული და ვინც დიდად არის დავალებული, მას ბევრიც მოეთხოვება; რომელი წოდება ითვლება, ანუ უნდა ითვლებოდეს ზნეობის აღმამაღლებლად, კაცთა სინიდისის დამცველად, ბოროტების დამთრგუნველად, ცრუ მორწმუნოების მომსპობლად, თუ არა სასულიერო წოდება? ამისათვის დღეს ჩვენი სასულიერო წოდება არ უნდა ემსგავსებოდეს იმ მონითა, რომელთაც მიიღეს ქანქარი, ჩაფლეს მიწაში, და არ ასარგებლებს.“

ამას ამბობს ერთ ადგილას თავის სტატიაში ბ. ს. ტანიხეველი. შემდეგ ამბობს.

„რამდენი მღვდელი გსურსთ ჩამოგითვალოთ, რომელთაც წერა-კითხვის მეტი არა იციან-რა. სწირავენ, ილოცვენ და აღასრულებენ მღვდელმოქმედებათა. ესენი სწავლით თუ განათლებით არაფრად არ განირჩევიან

მაშ ვინ არის დამნაშავე, ბ. ტანიხეველო, რომ ამისთანა მღვდლები გვყავს! რაღად სძრახავთ მღვდლებს, რომ ისინი არ ქადაგებენ ეკკლესიებში, თუ ისინი მართლა სწავლით არ განირჩევიან რატომ არაფერს ბრძანებთ თავ მიზეზზე?

„მღვდლებმა უნდა მოსპონ ცრუ-მორწმუნოება მდაბალ ხალხშიო.“ მაღალ წოდების ხალხში ვითომ კი აღარ არის ცრუ-მორწმუნოება! რას მიცივებიხართ მდაბალ ხალხს! რატომ არ მიიხედავთ, ესრედ წოდებულ, განათლებულ ხალხში, რამდენ სულელურ ამაოდ-მორწმუნოებას ასრულებენ? რა არის ცხენების ტანისამოსის ჩაცმა დიდი პირების განსვენების დროს თუ არა სულელური ამაოდ მორწმუნეობა? რა არის მღვდლის დანახვის დროს გაფურთხება, თუ არა სულელური ამაოდ-მორწმუნოება? რას ჩადიან მღვდლის დანახვის დროს ჩვენი განათლებულნი ინსტიტუტკები, იკით? გამოჰკითხეთ და გეტყვიან. უურდლის დანახვას რა ვნ ბის მოტანა შეუძლია? ჰკითხეთ თქვენ განათლებულ პირებს.

რამდენი ამისთანა ცრუ და ამაოდ-მორწმუნეობაა, რომლითაც მძიმედ არიან დატვირთულნი, ესრედ-წოდებული, ჩვენი მაღალი წოდების ხალხნი! თქვენ მეტყვით, ის არის კიდეც საქმე, რომ სამღვდელოებას ისინი ვერ მოუსპია.

როგორ გნებავსთ? ის ამაოდ-მორწმუნოება, რომელიც სუფევდა ორი ათას და სამი ათას წელს, რომელსაც ამდენი ხანი ფესვები გაუდგამს ხალხში, თქვენ გნებავსთ, რომ ათ წელიწადში და ოც წელში ამოვგლიჯოთ? ამას მოითხოვენ ბავშები-პუბლიცისტები, რომელთაც ხალხის ცხოვრება სრულებით არ გაეგებათ და რომელთ ნაწერებში თავში ერთს ჰკითხულობთ და ბოლოში მათის ნათქვამის წინა-აღმდეგს.

მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამისთანა, ხშირად უსაფუძვლო, და უთავბოლო დაწერილ სტატიებზედ პასუხის გაცემის ნებასაც არ გაძლევენ! მე დამპირდა რედაქტორი, რომ მიიღებს ჩემ წერილებს და დიდის სიამოვნებით დაბეჭდავს „დროებაში“, მაგრამ მესამე ჩემი წერილი რა ხანია გაგზავნილია და დღესეც არ იბეჭდება *): ეს სწორედ იმას ჰგავს: მე რაც მინდა, ანუ რაზედაც მსურს, იმაზე სწერე და არა, ის რაც ჩემი აზრის წინააღმდეგია. **). რიგი და სამართალი მოითხოვს კაცს უნდა გამოათქმევინო თავისი აზრი ყველა დაწერილ სტატიებზე სამღვდელოების წინაადმდეგ და შემდეგ, როგორც გნებავს, ისე საჯე და ილაპარაკე; ვიდრემდის ეს წესი არ შემოვა ჩვენში მანამდის ჩვენი გაზეთები ვერ ეღირსება იმ ბედს რა ბედიც დიდი ხანია სამზღვარ-გარეთელ გაზეთებს აქვსთ მინიჭებული(?). ამისთანა გაზეთებს ჩვენში ეყოლება ყოველთვის მცირე მომხრენი და აუარებელი ხალხი კი ყოველთვის დარჩება თავის აზრზე და გაზეთს ხელსაც არ ახლებს(?!).

სოფლის მღვდელი.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი მარლვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

*) თუ ეს წერილი არ დაიბეჭდა გაზეთში, ამაში ჩვენ ბრალი არა გვდევს.
რედ.

**) თუმცა დიდი შეცოდება არ იქნებოდა, ასე რო მოვქცეულვიყავით, მაგრამ ჩვენ მაინც ასე არ ვიქცევით: ხშირად, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, ისეთ სტატიებს, განსაკუთრებით პოლემიკურ სტატიებს, ვაძლევთ ხოლმე გაზეთში ადგილს, რომელნიც ჩვენს აზრსა და მიმართულებას ეწინააღმდეგებიან.
რედ.


# განცხადებანი

გაიცემა **იჯარით მამული თელავის მაზრაში ს. ყვარელში.** საიჯარო მამულს შეადგენს: სამი დიდი ვენახები, სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, ტყე და ორ თვალიანი წისქვილი. არის აგრეთვე სახლი, მარანი და ყოველი საოჯახო შენობები და მოწყობილობანი.

მსურველს დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეუძლიან ელისაბედ სოლომონის ასულის მარჯანოვისაგან ქ. ტფილისში გოლოვინის პროსპექტზე მირზოევის სახლებში ფოჩტის სტანციის პირდაპირ № 44. (20—6)

**ჩურჩელი! ჩურჩელი! ჩურჩელი!**

მივიღეთ დიდი რიცხვი: თეფშები 1-ლი ხარისხისა 2 მ. და 30 კ. დიუჟ.; დანა-ჩანგალი, ჩაი 1-ლის ხარისხისა, კალმები, ფანოსები, სანთლები, პარაშოკი (ბორაკს) სარეცხისათვი, საშტევენი თბილი ჩულქები, 3000 პატაუკი თითო აბაზათ! 600 რკინის კროატი 5 მანეთიდგან 55 მანეთამდინ, ფურაჟკები, ტანისამოსი, დრაპი, შედგენილი ყვავილები ფოლადის სახურავებით და მრავალი სხვა საქონელი, ისყიდება ეხლიდგან ახალ-წლამდინ ნახევარ ფასად, ანგლიის მაღაზიაში, არწრუნის ქარვასლაში. 5—5

**Вышла въ свѣтъ книга:**

**СВЯТѢЙШІЙ СѴНОДЪ ПРИ ПЕТРѢ ВЕЛИКОМЪ**

**въ его отношеніи къ правит. сенату.**

**Историческое изслѣдованіе Ѳ. Жорданія. Цѣна 1 р. 50 к. За пересылку прилагается 20 к. Продается въ книжномъ магазинѣ Грикурова.** (10—2)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**სახსოვარი**

**ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.**

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

**სალამური**

№ 1.

გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**ეროვბა**

თხზ. ნ. ნიკოლაძისა

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი 15 კაპ.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად

ადაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**დედა და შვილი**

და

**რამდენიმე ლექსი**

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

**ბ.ბ. მუშტართ ჩაისა**

ჩვენის ფირმის უმორჩილესად ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება ბანდეროლობაზე ასოთ პ. და ს.

ძმანი **პ. და ს. პაპოვები,** სავაჭრო სახლი მოსკოვში. (10—8)

**ჟურნალის «ივერიის» გამოცემაზედ**

**1883 წელსა (წელიწადი მეშვიდე).**

მომავალს 1883 წელს სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი „**ივერია**“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც აქამომდე გამოდიოდა. მხოლოდ რედაქციამ მიიღო ყოველივე ღონისძიება, რომ ჟურნალი შინაარსით უფრო სრული იყოს და ყოველივე ღირს-შესანიშნავი მოვლენა, რომელიც კი მოხდება ან ჩვენს ცხოვრებაში, ან რუსეთისაშა, ან უცხო ქვეყნებისაში, ჟურნალმა უყურადღებოდ არ დასტოვოს.

ჟურნალს აღუთქვეს თავის თანამშრომლობა ბევრმა ჩვენმა ძველმა და ახალმა მწერალმა. რედაქცია ეცდება, რომ რომანებსა და მოთხრობებს ჩვენის ცხოვრებიდამ უფრო მეტი ადგილი ეჭიროთ ჟურნალში, ვიდრე აქამომდე ეჭირათ. ეხლა რედაქციის ხელშია რამდენიმე მოთხრობა ჩვენის ცხოვრებიდამ, რომელნიც მომავალს წელს ჟურნალში იქნებიან დაბეჭდილნი.

უმთავრესი ყურადღება ჟურნალში მიქცეული ექნება შინაურს მიმოხილვას. აგრეთვე თვისა-და-თვის თავს ჟურნალში იქნებიან შემდეგნი განყოფილებანი: რუსეთის მიმოხილვა, უცხო ქვეყნები, კრიტიკული წერილები, ახალი წიგნები; სამეცნიერო წერილები თეატრი და სხვ. გარემოებათა შესაფერად, რედაქცია ეცდება, რომ ყოველივე ამ განყოფილებათაგანი ვრცლად და წესიერად იყოს შემუშავებული. აგრეთვე, რადგან ჩვენში განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცემა არ არსებობს, ამისათვის რედაქციამ მიუმატა ჟურნალს პედაგოგიური განყოფილება, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს მიეცეთ ღონისძიება თვალ-ყური ადევნონ პედაგოგიის განვითარებას. ზოგიერთა ჩვენმა გამოცდილმა პედაგოგებმა აღგვითქვეს ამ საგნისათვის სამუდამო თანამშრომლობა.

„ივერიაში“ მიიღებენ მონაწილეობას შემდეგნი პირნი: დ. ზ. ბაქრაძე, ი. ბაქრაძე, ეკ. გაბაშვილისა, გ. გაბაშვილი, ი. გოგებაშვილი, თ. რაფ. ერისთავი, გ თუმანიშვილი, ეგ. იოსელიანი, ნ. ლომოური, ი. მეუნარგია, ა. მოჩხუბარიძე (უაზბეგი), ა. ნანეიშვილი, თ. ჟორდანია. ნ. ქანანოვი, მ. ყიფიანი, გ. ყიფშიძე, სტ. ჭრელაშვილი, ნ. ხუდადოვი, მღ. ჯანაშვილი და სხვ...

ხელის-მოწერა ჟურნალს „**ივერიაზედ**“ მიიღება მხოლოდ მთელის წლის ვადით.

ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანეთი.

ვისაც ერთად შემოტანა გაუძნელდება, შეუძლიან ოთხი მანათი პირველს იანვრამდე 1883 წ. შემოიტანოს და დანარჩენი სამი მანათი პირველს მაისამდე.

სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ დაეთმობათ წელიწადში ხუთ მანათად, ან სამი მანათი პირველს იანვრამდე და ორი მანათი პირველს მაისამდე 1883წ.

ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:** შავერდოვის სააგენტოში, ბულვარზე, ალექსანდროვის ბაღთან და ნანუკოვის და ჯაბადრის სააგენტოში, ბულვარზედვე, ბელოვის სახლში; აგრეთვე რედაქციაში, ყოველ-დღე დილის რვა საათიდამ ათ საათამდე, რედაქცია იმყოფება, გოლოვინის პროსპექტზედ (ბულვარზედ), ონანოვის სახლებში, № 22, სადგურის (კვარტირის) № 9. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

**Въ Тифлисъ. Въ Редакцію журнала „ИВЕРІЯ“.**

რედაქტორები { ილია ჭავჭავაძე. ი. მაჩაბელი.

4—1


ბიბლიოთეკა